ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის **2025** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2024** წლის 17 დეკემბრის **N**25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დაკით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 2

2025 წლის 15 იანვარი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, კოსტანტინე ბერაძე ინგა მაღრაძე, სულ საკრებულოს 20 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ნ მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანს0 0 საბიუჯეტოს სამსახურის განყოფილების უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

მარიამ შარიქაძე საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ა. ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

ს. გლუნჩაძე ოპერატორი,

ნ.კაპანაძე გაზეთი „ჩემი ხარაგაულის"ჟურნალისტი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. **„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 20 წევრი.

მომხრე 20

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე . „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა, საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის საკითხი განვიხილეთ ინფრასტრუქტურის კომისიასთან ერთად, წინააღმდეგობა არავის გამოუხატავს, მივიღეთ გადაწყვეტილება საკითხი გავიდეს საკრებულოს სხდომაზე.

ი. მაღრაძემ საკრებულოს წევრმა, დასვა შეკითხვები მომხსენებლის მიმართ:

- რატომ არ ხდება ზედუბნის ხიდის პრობლემის მოგვარება ოპერატიულად,
- ვინ მიიღოო გადაწყვეტილება საბიუჯეტო ორგანიზაციებში თანამშრომლებზე დანამატების გაცემის თაობაზე,
- და რატომ არ გაიცა ეს დანამატი აიპიებში წლის ბოლოს

ვ. ჭიპაშვილმა მომხსენებელმა განუმარტა, რომ ზედუბნის ხიდზე სტიქია, როგორც კი მოხდა მაშინვე გაიწმინდა გზა, სასწრაფოს მისვლის პრობლემა არ ყოფილა, რაც შეეხება დანამატების გაცემას გადაწყვეტილებას იღებდა შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი, აიპიებს ვინაიდან წლის ბოლოს არ აღმოაჩნდათ ეკონომია ფინანსებში ვერ გაცეს და არც ყოფილა მომართვა ამ კუთხით, როცა მოგვმართეს მაშინ დავაკმაყოფილეთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 20 წევრი.

მომხრე 19

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
სხდომის თავმჯდომარე **დავით კიკნაძე**